ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 17

2022 წლის 28 აპრილი

ქალაქი ახალციხე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1.
დამტკიცდეს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საწყისი საფასური, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
COUNCIL OF AKHALTSIKHE MUNICIPALITY
LOCAL GOVERNMENT, GEORGIA
224101317

დავით ლომიძე

დანართი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის საწყისი საფასური განისაზღვროს დამოუკიდებელი აუდიტის (ექსპერტის) დასკვნის შესაბამისად დადგენილი საწყისი საპრივატიზებო საფასურის შემდეგი ოდენობით:

ა) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქალაქ ახალციხის ტერიტორიაზე - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 7%-ის ოდენობით.
ბ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, გარდა ქალაქ ახალციხის ტერიტორიისა –საწყისი საპრივატიზებო საფასურის 6%-ის ოდენობით.
გ) სხვა უძრავ ქონებაზე, გარდა ამ დადგენილების პირველი მუხლის ,,ა" და ,,ბ" პუნქტებისა - საწყისი საპრივატიზებო საფასურის - 6%-ის ოდენობით.
დ) მოძრავ ქონებაზე -საწყისი საპრივატიზებო საფასურის - 7%-ის ოდენობით.